საგაზეთო ჩანართი

ინტელექტი

ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისაკენ

№7 / 2010

კონკურსის – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ პირველი ეტაპი დასრულდა

კონკურსი ქობულეთის მუნიციპალიტეტში

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის – „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში ატარებს კონკურსს ამომრჩევლებისათვის თემაზე: „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“, რომლის პირველი ეტაპი უკვე დასრულდა. აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტში გამოვლენილია სამ-სამი გამარჯვებული. ისინი, გარდა ქობულეთის მუნიციპალიტეტისა, „ინტელექტმა“ ფასიანი საჩუქრებით უკვე დააჯილდოვა.

კონკურსის ერთ-ერთი მონაწილე, სოფიკო ხიმშიაშვილი მიიჩნევს, რომ „ცდა ბედის მენახევრეა“ და კონკურსში „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ მონაწილეობაც ამიტომ მიიღო. ამბობს, რომ პროექტი ძალიან მოეწონა და მომავალშიც სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას მსგავს პროექტებში. მისგან განსხვავებით ზვიად დიასამიძეს საკუთარი თავის გამოცდა სურდა. აინტერესებდა, რამდენად იცნობდა თვითმმართველობას და განმანათლებლის (ფრიდონ ხიმშიაშვილის) შემოთავაზებას — კონკურსში მიეღო მონაწილეობა, სიამოვნებით დათანხმდა. ის ერთადერთი კონკურსანტია 111-დან, ვინც 50 ტესტს 18 წუთში გასცა პასუხი და მშობლიურ მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტი (39) სწორი პასუხი შემოხაზა.

„ტესტები საშუალო სირთულის იყო. თუმცა ისეთი საკითხებია, რომ ჩემი აზრით, ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს“ – ამბობს დიასამიძე.

ხულოს მუნიციპალიტეტში პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი ვლადიმერ მგელაძე გახდა. იგი შპს „ხულოს საგზაო სამმართველოში“ მექანიზატორად მუშაობს. გამარჯვებული კმაყოფილია განმანათლებელ ჯუმბერ დიმიტრაძის მუშაობით. „ბევრი ისეთი რამ ვისწავლე, რაც წესით უნდა მცოდნოდა და არ ვიცოდი. ახლა ვხვდები ადგილობრივ თვითმმართველობას რამდენი საქმის გაკეთება შეუძლია სოფელში მცხოვრები გაჭირვებული მოსახლეობისთვის. მთიან სოფლებში ინფორმაციის წყარო ნაკლებია და შესაბამისად ხალხიც ნაკლებადაა განვითარებული. ამიტომ არ ვიცით ასეთი საკითხების შესახებ. ახლა რომ ვიცი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ამდენი რომ ადრე მცოდნოდა, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტში“ განმანათლებლად სიამოვნებით ვიმუშავებდი“.

კონკურსის მონაწილე რამაზ წინწკალაძე პედაგოგია. იგი პროექტს დადებითად აფასებს და შედეგსაც „დადებითს“, ანუ საპრიზო ადგილის მოპოვებას ელოდა. სამწუხაროდ მოლოდინი ვერ გაუმართლდა, თუმცა საკმაო ინფორმაცია მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და ცოდნა გაიღრმავა.

საპრიზო ადგილი ვერც რენატი ირემაძემ მოიპოვა, მაგრამ კონკურსის იდეა მოეწონა და სხვა დროსაც სიამოვნებით აპირებს მონაწილეობას მსგავს პროექტებში.

კონკურსის მონაწილე შუახევის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებმა თავი იმითაც დაგვამახსოვრეს, რომ კონკურსის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მივიდნენ კონკურსის ჩატარების ადგილას და დაწყებას მოთმინებით ელოდებოდნენ. მათი მიზანი ქულების მაქსიმალური დაგროვება და საპრიზო ადგილის მოპოვება იყო. როგორც „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე ლევან გობაძე ამბობს, „სამწუხაროდ სამი საპრიზო ადგილია, მეტი რომ იყოს, კიდევ ბევრს დავაჯილდოვებდით სიამოვნებით!“

კონკურსის მონაწილეთა სტატისტიკა

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტში“ 244 მოქალაქემ შემოიტანა. აქედან

1. ხულო – 53
2. შუახევი – 41
3. ქედა – 55
4. ხელვაჩაური – 42
5. ქობულეთი – 53.

კონკურსში – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ მომაწილეობის მისაღებად შემოტანილი განაცხადებისა და კონკურსში მონაწილეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტად შუახევის მუნიციპალიტეტის ზამლეთის თემის მოსახლეობა აქტიურობდა. აღნიშნული თემიდან ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტში“ 19 განაცხადი შევიდა, ხოლო კონკურსში 7-მა მათგანმა მიიღო მონაწილეობა.

კონკურსში მონაწილეობა ხუთივე მუნიციპალიტეტში 111-მა მსურველმა მიიღო:

1. ხულო – 20;
2. შუახევი – 19;
3. ქედა – 24;
4. ხელვაჩაური – 19;
5. ქობულეთი – 29.

თითოეულ მუნიციპალიტეტში გამოვლინდა სამ-სამი გამარჯვებული, ქულათა რაოდენობის მიხედვით.

ხულოს მუნიციპალიტეტში: პირველი ადგილი მოიპოვა ვლადიმერ მგელაძემ, 35 ქულით; მეორე – ემზარ ქედელიძემ, 33 ქულით, ხოლო მესამე ადგილი მოიპოვა თამაზ დიმიტრაძემ, 33 ქულით.

შუახევის მუნიციპალიტეტში:
1. ზვიად დიასამიძე, 39 ქულა;
2. ნათია მიქელაძე, 32 ქულა;
3. ზვიად ფუტკარაძე, 31 ქულა.

ქედის მუნიციპალიტეტში:
1. შოთა ბერიძე, 39 ქულა;
2. ვლადიმერ თებიძე, 39 ქულა;
3. ია ბერიძე, 36 ქულა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში:
1. თამილა წულუკიძე, 40 ქულა;
2. ნანა კაკალაძე, 36 ქულა;
3. ნანა გოგია, 35 ქულა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში:
1. დავით მახარაძე, 40 ქულა;
2. მაგული ვერულიძე, 38 ქულა;
3. მერი ბეჟანიძე, 35 ქულა.

გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები გადაეცათ

ქედის, შუახევის, ხულოსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში კონკურსის – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ მონაწილეები ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ უკვე დააჯილდოვა, ხოლო უახლოეს დღეებში დაჯილდოვება ქობულეთის მუნიციპალიტეტშიც გაიმართება.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე მოწვეული იყვნენ: შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს ყველა წევრი, გამგებელი, განმანათლებლები და კონკურსის მონაწილეები.

გამარჯვებულები ამბობენ, რომ ამ დღეს მოთმინებით ელოდნენ. მათთვის ცნობილი დაჯილდოებამდე მხოლოდ ქულათა რაოდენობა იყო და აინტერესებდათ საპრიზო ადგილი ვის ერგო, ან გამარჯვების შემთხვევაში რა პრიზს გადასცემდნენ.

პირველ რიგში კონკურსის ის მონაწილეები დასაჩუქრდნენ, ვინც საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვა. „ინტელექტმა“ ისინი სპეციალური სიგელებით (კონკურსში „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ მონაწილეობისათვის) და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა.

ყველაზე საინტერესო მომენტი საზეიმო ღონისძიებაზე გამარჯვებულთა დაჯილდოება იყო. როგორც იტყვიან, „გემრიელი ლუკმა“ „ინტელექტმა“ ბოლოსთვის შემოინახა და დაჯილდოება მესამე საპრიზო ადგილით დაიწყო. თითოეულ მუნიციპალიტეტში მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი დაჯილდოვდა DVD–ით, მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი – ციფრული ფოტოაპარატით, ხოლო პირველი ადგილის მფლობელს ნოუთბუქი გადაეცა.

თამილა წულუკიძე, I საპრიზო ადგილის მფლობელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში: „I საპრიზო ადგილი და ასეთი პრიზი (მან „ინტელექტისგან“ სერთიფიკატთან ერთად ნოუთბუქი მიიღო, ავტ.) ჩემთვის მოულოდნელი იყო. კონკურსი ძალიან საინტერესი იყო, მაგრამ არ მეგონა თ გავიმარჯვებდი“.

გამარჯვებულთა დაჯილდოებამ მარტო პრიზების მფლობელები კი არა, ყველა მოწვეული სტუმარი გაახარა. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ამაღლობელმა, მადლობა გადაუხადა კონკურსში – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ მონაწილეებს და კონკურსის ორგანიზატორებს. „ინტელექტთან“ კავშირი 2002 წლიდან მაქვს. თავის დროზე მეც ავიღე „ინტელექტის“ სერტიფიკატი და დღემდე საპატიო ადგილზე ვინახავ. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა და საჩუქრები წაახალისებს მოსახლეობას და გააძლიერებს მათ ინტერესს თვითმმართველობის საქმიანობისადმი. ინტელექტი ადამიანების გათვითცნობიერებაზე, განათლებაზე მუშაობს და მთელი საკრებულოს სახელით ულრმეს მადლობას ვუხდი მას!“ – აღნიშნა ნუგზარ ამაღლობელმა.

„ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტსა“ და ხულოს მუნიციპალიტეტს დიდი ხანია აქვთ საქმიანი ურთიერთობები, რამაც ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. ამ ურთიერთობის

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

შუახეველები კონკურსის მოლოდინში

კონკურსის – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ პირველი ეტაპი დასრულდა

ნათელი დადასტურება იყო დღევანდელი შეხვედრა – კონკურსის „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ დაჯილდოების ცერემონია“ – აღნიშნა ხულოს მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ, ნოდარ თავართქილაძემ.

კონკურსის მონაწილე ნინო ხოზრევანიძე შედეგით არა, მაგრამ კონკურსში მონაწილეობით კმაყოფილია. მან საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვა და შესაბამისად სერტიფიკატს და სამახსოვრო საჩუქარს დასჯერდა. ამბობს, რომ „ტესტებში შესული საკითხების ცოდნა აუცილებელია. ამ კონკურსში მონაწილეობით ბევრი რამ ვისწავლე. აქამდე არ ვიცოდი, საკრებულოს რა მოვალეობები გაარნდა თავისი ამომრჩევლების მიმართ, ახლა ვიცი და ამ ცოდნას მომავალში აუცილებლად გამოვიყენებ, თუნდაც არჩევანის გაკეთებისას.“

მართალია, ვლადიმერ თებიძემ კონკურსში – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა, მაგრამ საკუთარი თავის კმაყოფილი მაინც არ არის: „უფრო მეტის გაკეთება შემეძლო. ცოტა ვიჩქარე... ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით შესაბამის დოკუმენტებში ხშირად შედის ცვლილებები და ასეთი კონკურსები გვაძლევს შანსს, რომ არ მოვდუნდეთ და თვალი მივადევნოთ ცვლილებებს. თუ კი საშუალება მომეცემა, მსგავს პროექტებში სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას.“

კონკურსის – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ უხუცესი მონაწილე 60 წლის პედაგოგი, შოთა ბერიძეა. მან ქედის მუნიციპალიტეტში მეორე საპრიზო ადგილის მფლობელს ერთი წუთით დაასწრო და პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა. კონკურსის შესახებ სოფლის ცენტრში გამოკრული პლაკატიდან შეიტყო და განმანათლებელს დაუკავშირდა: „მეც მინდა ამ კონკურსში მონაწილეობა და საბუთების ორგანიზაციამდე მიტანაში დამეხმარეო.“ განმანათლებელმა დავით თედორაძემ არ დაამადლა კონკურსში მონაწილეობის მსურველ მოხუცს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირთან შუამდგომლობა და არც კონკურსის უხუცესმა წევრმა დაალატა: პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვა!

დაჯილდოვება

მალე მეორე ტური გაიმართება

კონკურსი – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ პროექტის „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში ტარდება ევროკავშირის მხარდაჭერით. დღეისათვის დასრულებულია კონკურსის პირველი ეტაპი, უახლოეს პერიოდში ჩატარდება კონკურსის მეორე, დასკვნითი ტური და მასში მუნიციპალიტეტებში ჩატარებული კონკურსის, ანუ პირველ ტურში გამარჯვებული 15 კონკურსანტი მიიღებს მონაწილეობას. კონკურსის „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ პირობა უცვლელია: გამოვლინდება ისევ სამი გამარჯვებული, რომლებსაც „ინტელექტი“ ფასიანი საჩუქრებით ისევ დააჯილდოებს.

„ინტელექტი“ კონკურსის დასკვნით ეტაპზე ერთ-ერთ განმანათლებელსაც დააჯილდოებს. პრიზს ის განმანათლებელი მიიღებს, რომლის წარმოდგენილი კონკურსანტიც რეგიონალურ კონკურსში: „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ პირველ საპრიზო ადგილს მოიპოვებს. შესაბამისად მათი საჩუქრებიც იდენტური იქნება.

თეიმურაზ დუმბაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი: „კონკურსის „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ ჩატარება ძალიან კარგია. ბევრი ახალგაზრდა ჩაერთო... ყველა მათგანს ვუსურვებ წარმატებებს. ვიმედოვნებ რეგიონალურ კონკურსში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი პირველ ადგილს აიღებს“.

„ყოველი კონკურსი საკუთარი თავის გამოცდაა. ახალგაზრდა თაობა ძალიანაა დაინტერესებული კონკურსით – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ და საერთოდ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხებით. პროექტი „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა წარმატებით მიმდინარეობს, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის მხრიდან არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთებას. ჯანსაღი ახალი თაობა მოდის და მჯერა, ყოველი მომდევნო დღე გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე დღევანდელი“ – აცხადებს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე და პროექტის: „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ დირექტორი, ლევან გობაძე.

საკრებულოებს „კარგი მმართველობის დეკლარაცია“ გადაეცათ

აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ საჩუქრად „კარგი მმართველობის დეკლარაცია“ გადასცა. ამ დეკლარაციას 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე 2 დღით ადრე, 28 მაისს საკრებულოს წევრობის მსურველმა მაჟორიტარობის კანდიდატებმა ხელი საჯაროდ მოაწერეს. საკრებულოს წევრად არჩევის შემთხვევაში ისინი ილებდნენ ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფდნენ: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობას; ჩამოაყალიბებდნენ მოსახლეობის მომსახურების ეფექტურ სისტემებს, ხელს შეუწყობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხის ზრდას; იზრუნებდნენ, რათა ბიუჯეტის ფორმირების, დამტკიცების, განკარგვის პროცესები იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ეფუძნებოდეს მოსახლეობის რეალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს; ხელს შეუწყობდნენ მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას; საერთო და მსგავსი პრობლემების ერთობლივად და ეფექტურად გადაჭრის მიზნით გააღრმავებდნენ ურთიერთობას თვითმმართველ ერთეულთა შორის; ხელს შეუწყობდნენ თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაციას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეებმა მადლობა გადაუხადეს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ საჩუქრისათვის და დასძინეს, რომ „მაქსიმალურად შეეცდებიან დეკლარაციაში მოცემული პირობები დაიცვან და ხელი შეუწყონ თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაციას“.

რამდენად კარგად შეასრულებენ საკრებულოები თავიანთ დანაპირებს, ამას დრო გვიჩვენებს.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაცაძე

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge